სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

31 იანვარი 2024

N 05/257

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის
უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი, 2024 წლის 16 იანვრის №6/2154 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თბილისის აეროდრომის დაცვის არეში მდებარე მიწის ნაკვეთების, საკადასტრო კოდებით 01.19.24.013.018, 01.19.24.013.019, 01.19.24.013.020, 01.19.24.013.021 პრივატიზების საკითს, გაცნობებთ, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა და კომენტარი არ გააჩნია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმებას ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების განთავსება, რომელთა სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან (MSL), EGM-96 სისტემაში (დედამიწის 1996 წლის გრავიტაციული მოდელი) აღემატება აეროდრომის რაიონის შეზღუდვის არეალის დადგენილ სიმაღლეებს, რა დროსაც სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე - https://gcaa.ge/aerodrome-safeguarding/.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიახლოვეს, შენობა-ნაგებობების სიმაღლეებზე მოქმედებს მნიშვნელოვანი შეზღუდვები და მოცემულ მიწის ნაკვეთებზე განხორციელებული საქმიანობა არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას ფრენების უსაფრთხოებაზე.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა